ოქმი:**ო31.31222731**
თარიღი:**30/09/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N14

ქ. ლანჩხუთი

27. 09. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ 23 სექტემბერი არის სოხუმის დაცემის დღე და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპული გმირების ხსოვნისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“-ს (ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თამაზ იმედაიშვილი/

5.სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 23 პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი) და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 17 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს. ადრეული განვითარების

პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულება აღებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას. ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით სარგებლობას. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში როგორც პროგრამულ ბიუჯეტში ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მდგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათი ათასი)ლარის დამატება პლუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის დამატება იქნება საჭირო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N51(27.09.2022).

დღის წესრიგის მეორე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ 2022 წლის 7 სექტემბერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი N 5/50425 რომელიც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამბულატორიების კერძოდ: სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 204.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 74.72.კვ.მ შენობა ნაგებობა ს/კ 27.15.52.662. აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აკეთში მდებარე 377.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა ს/კ 27.03.43.361 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ქვიანში მდებარე 315.00კვ.მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 79.78 კვ.მ შენობა ნაგებობა ს/კ 27.04.50.282 უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, სადაც მოხდება ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, თუ რა კრიტერიუმით იქნა შერჩეული ზემოხსენებული ამბულატორიები და იგეგმება თუ არა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, რეაბილიტაციის მიზნით, დანარჩენი ამბულატორიების გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ სამი ამბულატორიის დოკუმენტაცია არის მოწესრიგებული, რომელიც გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინს, ხოლო სამომავლოდ მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ამბულატორიის დოკუმენტაციის მოწესრიგება და მათი სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემა, რასაც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N52 (27.09.2022).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი"-ს(ს/კ: **233733984**) ლიკვიდაციაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემულ რეკომენდაციებში ერთ ერთი რეკომენდაცია იყო მერიის სტრუქტურული

ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა. აუდიტის ანგარიშში პირდაპირ დასახელდა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრი“, რომლის საქმიანობის საგანიც ქმნიდა ფუნქციათა გაორების შთაბეჭდილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის პოზიციაა, განხორციელდეს ხსენებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია, ასევე, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რატომ ფასდებოდა ცხრა წლის განმავლობაში დადებითად მთავარი საფინანსო დოკუმენტი მაშინ, როცა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრს“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც ფუნქციონირებს 2013 წლიდან დღემდე, ჰქონდა გაორებული ფუნქციები და ამ ორგანიზაციის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯვა ხდებოდა. ის ასევე დაინტერესდა იმ მაღალკვალიფიციური კადრების ვინაობით, რომლებმაც უნდა ჩაანაცვლონ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ თანამშრომლები, რომლებმაც დამაკმაყოფილებლად შეასრულეს ტურისტული პროექტები და დაფინანსებაც დროულად მიიღეს. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტითაც, რომ ამ სამსახურის გაუქმება ხდება მაშინ, როცა ტურიზმის განვითარების კუთხით, ჩიბათში უნდა განხორციელდეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამმილიონიანი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ მართალია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო ცენტრი ფუნქციონირებს 2013 წლიდან დღემდე, მაგრამ მერიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობის სფეროებს შორის ფუნქციათა გაორების აღმოფხვრა, 2019-2020 წლებში სახელმწიფო აუდიტის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრს“ ყავს კარგი თანამშრომლები, მაგრამ ტურიზმის კუთხით საჭიროებს განახლებას კვალიფიციური კადრებით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** ითხოვა, რომ აღნიშნულ საკითხზე განმარტება გაეკეთებინა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ ხელმძღვანელს.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ ხელმძღვანელმა **გელა ზოიძემ** აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციამ 13 წლის მანძილზე ოთხჯერ განიცადა რეორგანიზაცია და ამ ეტაპისთვის აქვს ხუთი მიმართულება: მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარება, ასევე, საგარეო ეკონომიური კავშირ-ურთიერთობები, პროექტირება და ინვესტიციების მოზიდვა. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობის მანძილზე ცენტრმა მოაწყო ოთხი საერთაშორისო კონფერენცია, ხელი შეუწყო ინვესტიციების მოზიდვას, გახდა ცნობადი. მან, როგორც ხელმძღვანელმა ყველაფერი გააკეთა შესაძლებლობის ფარგლებში, მაგრამ ის თანახმაა მოხდეს ამ ცენტრის ლიკვიდაცია, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს ყველა მიმართულებით და საჭიროებს განახლებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი 4 წევრი (კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N53 (27.09.2022).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **თამაზ იმედაიშვილმა.** მან განმარტა, რომ რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება 16.08.2021 წლის N1419 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით, მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით. 2, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით. აღნიშნული ცვლილებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.
მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N54 (27.09.2022).

სხვადასხვა საკითხები:

მოქალაქე **შუქრი თავართქილაძემ** ისაუბრა, თუ რაოდენ დიდი მომავალი აქვს მედიცინაში გრიგოლეთის ელექტრომაგნიტური ქვიშის მაგნიტოთერაპიისთვის გამოყენებას. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის გამოკვლეულია ზღვისპირა ზოლის 2 კილომეტრიანი მონაკვეთი, მაგრამ გრიგოლეთისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსის მისანიჭებლად საჭიროა სანაპიროს მთლიანი ზოლის ქვიშის მაგნიტომეტრიული გამოკვლევების ჩატარება, რისთვისაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისაგან ითხოვა ფინანსური დახმარება 20000 ლარის ოდენობით.

მოქალაქე **კლარა კუტუბიძემ** ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ითხოვა დახმარება

იმის თაობაზე, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ უნაგირას უბანში

აუცილებლად გასაკეთებელია ბეჭონის სანიაღვრე არხები, რათა თავიდან იქნას აცილებული მთიდან მონადენი დიდი რაოდენობით წყლის მიერ მოსახლეობის კარ-მიდამოების და ქუჩების დატბორვა.

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქე **ქსენია ხარაბაძემ** ისაუბრა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის პრობლემის შესახებ და აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა წყლის კოლექტორის მოწყობა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ია მოქიამ** განმარტა, რომ სანიაღვრე არხის ბეტონირების პრობლემა მასშტაბურია, მისი გაკეთება იგეგმება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში და აუცილებლად მოგვარდება, ხოლო რაც შეეხება სასმელი წყლის პრობლემას, პირველ ეტაპზე საჭიროა შემოვიდეს მოქალაქეების კოლექტიური განცხადება და მოუგვარებელი არც ეს პრობლემა დარჩება. მან ასევე ისაუბრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გრიგოლეთის სანაპიროს მთლიანი ზოლის ქვიშის მაგნიტომეტრიული გამოკვლევების ჩასატარებლად 20000 ლარის გამოყოფა, რათა ამ სანაპიროს მიენიჭოს საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, შექმნილია თუ არა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საბჭო და არსებობის შემთხვევაში სურვილი გამოთქვა, რომ მიმდინარე პროექტებში ახალგაზრდები მეტად იყვნენ ჩართულები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინებენ გარკვეულ სახსრებს მილხიდების შეკეთება-რეაბილიტაციისათვის.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, თუ რატომ იქნა ამოღებული ინფრასტრუქტურის პროექტიდან ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღისკენ და რკინიგზის პირას გამავალი გზის საფარის მოწესრიგების საკითხი .მან ასევე გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კარგი იქნება, თუ გვიმბალაურის საფეხბურთო აკადემიაში აღზრდილ კადრებს გამოიყენებენ საფეხბურთო კლუბ ,,გურიას“ დაკომპლექტებისას, რასაც დაეთანხმა საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია.**
საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **კარლო წილოსანმა** აღნიშნა, რომ მაჩხვარეთში მიმდინარეობს ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია და იქ კიდევ რჩება თავისუფალი სივრცე, სადაც შესაძლებელია მოეწყოს მინი სტადიონი სპორტის სხვა სახეობებისთვისაც, რაც არ იქნება დიდ ხარჯებთან დაკავშირებული. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამისთვისაც გამოინახება სახსრები.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ **ნინო მშვიდობაძემ** აღნიშნა, რომ იგეგმება ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ის ფრაქციის სახელით შემოვიდა ინიციატივით, რომ ამ სკოლას დაუბრუნდეს ძველი იერსახე(აგურის ფასადი). ფრაქციამ წერილიც მოამზადა ამ საკითხთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გადასაგზავნად, ამასთანავე, მომავალ წელს ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლას დაარსებიდან 150 წელი უსრულდება და სასურველია, რომ ეს ყველაფერი ამ დღისთვის მოესწროს.
საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის

მოადგილე **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, რატომ არ გაკეთდა ავტობანის სოფელ ჩოლობარგთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც შედიოდა საკრებულოს წინა სხდომაზე დამტკიცებულ ,,სოფლის გზების რეაბილიტაციის“ პროექტში.
საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ გზასთან დაკავშირებით იყო საუბარი საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, მაგრამ მათი განცხადებით, ამ გზის გაკეთება არის მუნიციპალიტეტის პრეროგატივა. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია რუსლან წულაძის სახლთან მისასვლელი გზა, რომლის პროექტიც უკვე მომზადებულია და ახლა საჭიროა გამოიძებნოს სახსრები, რითაც ეს ორივე გზა იქნება მოწესრიგებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 სექტემბერი 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზესიკ ტაბიძე	11^{00}	[signature]
2	ემზარ თევდორაძე	12^{00}	[signature]
3	ვერიკო კვირკველია	11^{55}	[signature]
4	გიორგი ჩახვაძე	11^{00}	[signature]
5	გიორგი ხელაძე	[illegible]	
6	ალექსანდრე მახათაძე	11^{58}	[signature]
7	ზაზა წულაძე	12^{00}	[signature]
8	კარლო კვიტაიშვილი	11^{55}	[signature]
9	გიორგი იმნაიშვილი	12^{00}	[signature]
10	ია მოქია	12:00	[signature]
11	კახაბერ ასკურავა	11:55	[signature]
12	მაკა მშვიდობაძე	11^{50}	[signature]
13	ვლადიმერ ნანაძე	11^{55}	[signature]
14	კარლო წილოსანი	11^{50}	[signature]
15	ლოლიტა ურუშაძე		
16	ნინო მშვიდობაძე	11:55	[signature]
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11^{40}	[signature]
19	გიორგი გოგუაძე	11^{40}	[signature]
20	გოჩა ჯანაშია	11^{55}	[signature]
21	ელისო ჭიჭინაძე	11^{58}	[signature]
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11^{50}	[signature]
23	კახა თედორაძე	11^{55}	[signature]

24	დარეჯან ბურჭულაძე		
25	ირმა მგელაძე	11.05	
26	გივი ცინცაძე	11-50	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11.50	